

სპორტული

№ 42
(11 191)

30 მაისი - 2 ივნისი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი
გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნულ გუნდს მხარდაჭერა, სპორტის კაპიტალს, საქართველოს გასაძლიერებლად!



საქართველო-რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის წინ



... ჩვენი ეროვნული გუნდი რუსეთისას უნდა გაეჯიბროს ამხანაგურად. მაგრამ რა არის ამხანაგობა სპორტში და მითუმეტეს ფეხბურთში? რა და თითქმის არაფერი - ფეხბურთი ფეხბურთია და გულშემატკივარიც ნაღდი ბურთაობის საყურებლად დადის, როგორც ამხანაგურ, ისე ოფიციალურ მატჩებზე. ქართველ ფანს კი დღეს განსაკუთრებით სწამდა ეროვნული გუნდით იამაყოს, თავი მოიწონოს და უბრალოდ გაიხაროს.

რუსეთიც რუსეთია - მათთან გამარჯვებას თავისებური პენი აქვს. ადრე „სპარტაკი“ იყო რუსთა ეროვნული გუნდი, ქართველთა კი „დინამო“ და მათი ორთაბრძოლებიც არაორდინალური სიბლით განირჩეოდა სხვა თამაშებისგან. ტრადიცი-

ებს გაფრთხილება სჭირდება, ჩვენს ეროვნულ გუნდს მხარდაჭერა, სტუმრის პატივისცემა, საქართველოს კი გამარჯვება...

დღეს ყველანი ზეიმს ველოთ, თუ რა თქმა უნდა, ორივე გუნდის ფეხბურთელები მთელის შეპარტებითა და ჟინით წარსდგებიან ეროვნულ სტადიონზე. ამხანაგურ მატჩსაც შეუძლია ნაღდი საფეხბურთო ზეიმი აჩუქოს ხალხს. განა ასე არ იყო 1953 წლის 23 ნოემბერს, როცა უნგრეთმა ნ-პ სძლია „უემბლიზე“ ინგლისელებს? ეს შეხვედრა ხომ „საუკუნის მატჩად“ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. მართალია, ასეთი პატივი დღევანდელ თამაშს არ „ემუქრება“, მაგრამ ჩვენი ნაკრების ახლანდელი თაობისთვის საცხებით შესაძლოა ნა-

დად ისტორიული გამოდგეს. პოლიტიკაც პოლიტიკაა და მას ვერსად გავექცევით. ვლადიმერ გუცაევი და ნაკრების ლიდერები გვაფრთხილებენ, გვთხოვენ, რომ პოლიტიკური ისტერიის ფონი როგორმე არ შეექმნას დღევანდელ მატჩს. მაგრამ, ვფიქრობ, პრესა აქ არაფერ შუაშია, თანამედროვე ქართველს იოლადა კი ერთ-ორ დღეში ვერაფერი აუბნევს თავ-გზას. ნაღდი სიტყვა მხოლოდ ფეხბურთელებმა უნდა თქვან დღეს მიწოდონ. გულშემატკივარი ფეხბურთით „დანაყრება“ ელის, იმ ფეხბურთით, რომელსაც თავისი სახელმძღვანელო კოდექსი გააჩნია - „FAIR PLAY“!

დათო თამარაძე

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

ქუთაისელი ვალერი სარაგა სახელის დაკვირვებას ბრინჯაოს მედალით იწყებს

იმისათვის, რომ სპორტსმენები უცხოეთში გამართულ შეჯიბრებებზე მივიღოთ, ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიღებისათვის ბრძოლაში გადადგომილი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, იმულებული ხდება შემწეობა იმ ქალაქებსა და რაიონებსაც სთხოვოს, ვისი წარმომადგენლებიც შეჯიბრებებზე მიემგზავრებიან. ზოგჯერ ეს ხერხდება, ზოგჯერ არა. ქუთაისელთა სახელმწიფო დეპარტამენტი იწყებს იმ ქალაქებს, რომ მათ ყველაზე უკეთ ესმით ქართული სპორტის სასიკეთოდ ძალისხმევის და სახსრების გაერთიანების მნიშვნელობა და, მართლაც, პარტიოტულად უდგანან მხარში სპორტის დეპარტამენტს. მათი ერთობლივი ძალისხმევით აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნიდან ერ-



ვალერი სარაგა


თადერთი ქალისა, ქუთაისელი ვალერი სარაგა (105 კგ) სოფიაში გამართულ ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატზე ატაცში 160 კგ დაძლია, იმდენი რამდენიც ბულგარელმა როდკოვმა. მაგრამ ჩვენი ვალერი ოდნავ მძიმე აღმოჩნდა და მესამე საპირფარეო ადგილზე დარჩა. ორჯერ უფრო მეტი წონა დააწეოდა ბრინჯაოს მედალის ბედი - სარაგა მეოთხე ადგილს დასჯერდა (355 კგ). სარაგას მწვრთნელია ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტი მალხაზ ლომთაძე. ჩემპიონატში 20 წელს მდე ასაკის (50-მდე ქვეყნიდან), 230 რჩეული ათლეტი მონაწილეობდა

ბუბათე

ვალერი ჩოლარია უხელმძღვანელებს



მოახლოვდა პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები, რომელსაც მოსკოვი უმასპინძლებს. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთობლივი გადანიშნულებით, თამაშებში საქართველოს სპორტულ დელეგაციას უხელმძღვანელებს ჩვენი ქვეყნის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვალერი ჩოლარია, რომლის მალალი პასუხისმგებლობა და საქმიანადი დამოკიდებულება კარგადაა ცნობილი.



მარცხნიდან: ვლადიმერ გუცაევი, სერგო კუტიბაძე, შოთა არველაძე, გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული. კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გამართულ პრესკონფერენციას ლეიტმორტივად ფეხბურთის დეპოლიტიზაცია გასდევდა.

წოდების მინიჭება დაჯილდოება მილოცვები

საქართველოში ცხენოსნობის განვითარებისა და ახალგაზრდა მხედართა თაობების აღზრდაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ქ. ფოთის საცხენოსნო სპორტული კლუბის დირექტორს ვალერიან მაჭავარიას საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის“ წოდება მიანიჭა.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით ვალერიან მაჭავარიას დაჯილდოვა საპატიო სიგელით.

ქ. თბილისის მერის სპორტის სამმართველო და მოჭიდავეთა საზოგადოება „რანდი“ დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავენ შენაშინავ სპეციალისტს და პიროვნებას-ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში ჩემპიონთა თაობების აღმზრდელს, საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ბიძინა მახიაშვილს.

ვახუთ „ლელოს“ რედაქცია გულითადად და დიდი სიყვარულის დასტურით ულოცავს დაბადებიდან 70 წლისთავს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მწვრთნელს ბიძინა მახიაშვილს.

ბიჭოვის

საუბრალოთი 28 მაისი 1998

კოლეგებმა იუბილე აღნიშნეს

75 წელი სოლიდური ასაკია გაზეთისთვის. მაგრამ კაცისა არ იყოს, გააჩნია რა დაგრძა უკან, როგორ გიღვაწია და რა გაგიკეთებია, როგორი სახელი მოგიხვეჭია. გაზეთმა „ბიჭოვისა“ მართლაც რომ სახელიანად განვლო უსასრულობის ეს მონაკვეთი. არც თუ შორეულ წარსულში „ბიჭოვისი“ ქართული პრესის მეტრად ითვლებოდა არჩილ ლელოველი



იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ მოსკოვში საქართველო-რუსეთის ნაკრებში გუნდების მატჩზე, გთავაზობთ „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტის ინტერვიუს. იხ. მ-3 მ-3.


ანზორ გაბიანიის მოსკოვს იმედაზიზ მოკყვა

საქცენტრალეტკლუბი „ამირანი“ ის სპორტული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელმაც ქვეყანაში ათლეტიზმის ორივე სახეობის (კულტურისში, ძალიანში) სამჭიდი მართვა იტვირთა. კლუბს ყოველთვის ცნობილი ადამიანები ედგნენ სათავეში - გივი აბდუშელიშვილი 1988 წლიდან, გია ინაური - 1990 წლიდან, 1993 წლიდან კი კლუბის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური იყო - მოვალეობას ასრულებდა პროფესორი ზურაბ ჭავჭავაძე. და აი, ამას წინათ, კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შს სისტემის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-ხელმძღვანელი ანზორ გაბიანი.

იმედის შუქი ყოველთვის პიროვნებებს უკავშირდება - ასე სწამთ სპორტის ამ სახეობის მიმდევრებსაც და ახალ ხელმძღვანელთან ერთად საქმიანობის გააქტიურების დიდი იმედი აქვთ.

ერნანდის ტახტი

ერნანდის ტახტი თხოვნით, კვირას, 31 მაისს, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს სპორტული სამყაროსთვის კარგად ცნობილი პიროვნება რამაზ გოგლიძე. დასაწყისი 12 საათზე.



ეროვნული ჩემპიონატი - ნისიალ!

გაზონი დაიწყო საქართველოს VIII ეროვნული ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის. მონაწილეობენ თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების, სპორტკლუბების „კოლხისა“ და „ჩულოვების“, ოლიმპიური რეზერვის ფრენბურთის სპორტსკოლის, დიდი ჯიხაიშის კოლეჯის, რუსთავის, ქუთაისის და ვეტერანთა ნაკრები გუნდები. უსახსრობის გამო ჩემპიონატს ჩაშლა ემუქრებოდა, მაგრამ ორგანიზატორებმა მოახერხეს ნისიად ჩაატარონ ეს ასპარეზობა.

პირველი ეტაპის შემდეგ ჩემპიონატს ექვსი გუნდი შემორჩება, მეორე ეტაპზე - ოთხი, დასკვნით სტადიაში კი სწორედ ეს გუნდები პლეი-ოფის სისტემით გაითამაშებენ ჩემპიონატის ტიტულს და საპრიზო ადგილებს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამიზნის უცხადებს ამავე კომიტეტის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობების განყოფილების უფროსს თამაზ თევზაძეს დიდი ჯიხაიშის კოლეჯის გარდაცვალების გამო.

ვახუთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძობს თამაზ თევზაძეს დიდი ჯიხაიშის კოლეჯის გარდაცვალების გამო.


რამაზ გოგლიძის პრესკონფერენცია

პაი წარმატებისაგან...

იყო დრო, საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებები საგანგებო ვიდეოებით, მატერიალური თუ მორალური წახალისებით აღინიშნებოდა, რაც მათთვის და მათი მემკვიდრეებისთვისაც დიდი სტიმული იყო. დღეს კი ქართული სპორტის მესვეურები, როდენ უცნაურად უნდა მოხანდეს, სპორტსაღმის დამოკიდებულების ქვეყნის პოლიტიკიდან გამომდინარე, იმას ნატრობენ, ვინც წინ არ წაიწიოს ეტაპობრივ შეჯიბრებებში, ემანდ ფინალამდე არ მიაღწიონ, თორემ ნამეტანი ძვირი დაგვიჯდება...




თუ რას ნიშნავს ზემოაღნიშნული და რა იგულისხმება ნათქვამში, შევეცდებით სპორტის ერთი სახეობის, კერძოდ, წყალბურთის კონკრეტული მაგალითით განვხილოთ. ყველამ იცით, რომ ქართული წყალბურთის ტრადიციები, ბოლო წლებში, როგორც ბევრი სხვა რამ, ჩრდილში მოექცა. ენთუზიაზმა თავ გამოდებით, და ფედერაციის (პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი) ნაქმრებით, ყველასთვის მოულოდნელად, ჩვენში სპორტის ამ სახეობის კვდრებით აღდგომის კონტურები გამოისახა. უფროსთა გვერდით გაჩნდა ახალგაზრდული გუნდიც და რეალური პერსპექტივა შეიქმნა მემკვიდრეობის უწყვეტობისთვისაც. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჭაბუკები რუსეთის ღია ჩემპიონატში ჩაებნენ და ისე იყორაღეს, ქვეჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. ძველი კონტაქტები ძველ მეგობრებს ისევ შემორჩათ და მეზობელი ქვეყნის ჩემპიონატში ჩვენები შესატანი ფულის გარეშე დაუშვეს. ეს იყო უარესად სასარგებლო ნაბიჯი და არა მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით. და აი, როცა ჩვენმა გუნდმა იწინაა თავისი შესაძლებლობები და ამაში უცხოელებიც დაარწმუნა, რეალური საფრთხის წინაშე დადგა ფინალურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მონაწილეობა. შეიძლება სულაც არ წახვიდე, მაგრამ უარცა და უარცა. მთავარი ისაა, რომ ჩვენების ჩაუსვლელობა ჩემპიონატის ფორმულას თავდავირა დაავიწყებს, ნუგუნდანი ფინალიდან ერთის გამოკლება ზომ გვხმით რამდენ სირთულეს შეუქმნის ორგანიზატორებს და ყველაფერი ეს... თანადგომისა და სიყვარულსაზღაურად? ცხადია, ყველაფერი კარგად იქნებოდა, ფედერაციას თანხები რომ პქონდეს, თუნდაც ის, რაც ბიუჯეტიდანაა გამოყოფილი. ცხადია, ყველაფერი კარგად იქნებოდა ჩვენს იუნიორებს ზედმეტი მონდომება რომ არ გამოეჩინათ და პირველსავე ეტაპზე გამოთიშულიყვნენ გათამაშებიდან. „კარგად იქნებოდაო“, რომ ვამბობთ, იმასაც გვულისხმობთ, ეს წინსვლა რა უსიამოვნებასაც შეახვედრებს სპორტის ხელმძღვანელ მუშაკებს და ფედერაციას, თვით გუნდის ხელმძღვანელობას. თავს ზევით ძალა არ არის, ჭეშმარიტებისა არ იყოს, მიზანი ერთია, გზასაცდენის შესაძლებლობა, გნებავთ საბუთიანი მიზეზი იმისა, რომ ფულისთვის ჯიბეში არავინ ჩაიყოს ხელი - ათასი.



მუშტებშეკრული ვლადიმერ გოიაშვილი იშვიათად თუ უნახავთ: „არა, ამდენ შეურაცხყოფას ვეღარ ავიტან, წლის ბოლოს ალბათ გადავდგები ფედერაციის პრეზიდენტობიდან“.

ერთ შეკითხვაზე: „რამდენ ტურნირსა და ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობთ წლის განმავლობაში“, ჩვენებს მიუნიშნებიათ, რომ ორი წელია, საერთოდ არსად უთამაშობთ, ამის შემტყობნი სახატად დარჩენილან, ვინ იცის, იქნებ არც დაიჯერეს... ახლა წინ თურქეთის ტურნირი და ისევ უსახსრობა, არსაიდან იმედი...
- თუ ასე გაგრძელდა, ალბათ ყველაფერს წელსვე დაესმება წერტილი. პირადად მე ამდენი ღია კარის მტვრევით და უშედეგო მათხოვრობით თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. წლის ბოლოს ალბათ გადავდგები, - აცხადებს მართლაც მრავალგზის განზილებული ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი.
რა იქნება მერე? სამწუხაროა, რომ საქმეს პრეზიდენტის გადადგომაც ვერ უშველის...
თ. ბაძრაძე



ზაპუსვი განუკითხაოკა ზაიიოკს მოსახლეობა კი საზინლად იმშობება

„ლელო“ ერთხელ უკვე წერდა იმ უმსგავსოზე, რაც ზაპუსვი წყალბურთელთა სპორტულ ბაზაზე მოხდა და როგორ დაუპირისპირდა ზაპუსვის გეოლოგების უბნის მოსახლეობა ამ ბაზაზე ჩასახლებულ ორგანოს მუშაკს. რედაქციამ კვლავ მიიღო მოსახლეობის წერილი, რომელიც იმავდროულად გაგზავნილია ქვეყნის პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, რესპუბლიკის პროკურორის, შს მინისტრის, მცხეთის რაიონის ხელმძღვანელთა ხანელზე. გთავაზობთ ამ წერილს მცირედიანი შემოკლებით (სტილი დაცულია).

მთელი მოსახლეობა მოგმართავთ თხოვნით და მოვითხოვთ თქვენს დახმარებას და დროულ ყურადღებას, რადგან 1998 წელს შს სამინისტროსა და პროკურორის სახელზე ჩვენს მიერ გაგზავნილ კოლექტიურ განცხადებაზე არავის ყურადღება არ მიუქცევია და არ დაინტერესებულა. დღისათვის კი მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია და თქვენს დახმარებას ვითხოვთ. საქმე ეხება შს სამინისტროს თანამშრომელს ბ. სალინაძეს და მის ოჯახს, რომელიც 1993 წ. ბოლოს იქნა შემოსახლებული დინამოს წყალბურთელთა სპორტულ ბაზაზე. შემოსახლების დღიდან იყენებს რა ბ. სალინაძე თანამდებობას ბოროტად, მთელი კოლექტივი დაითხოვა სამსახურიდან,

არაფერი გაგვინადგურებია. ბ. სალინაძის შემოსახლების დღიდან კი დაიწყო უკანონო მშენებლობები, მოახუნა ცხოველები, ფრინველები. უკანონოდ დაეპატონა ყველაფერს. ჩვენ არა მარტო ტერიტორიაზე შეხვალა, არამედ გავვლაც კი ავგვიკარძალა. რათა არ გვცხანა მისი უკანონო ქმედებები. შემოსახლების დღიდან თავად და მთელი ოჯახი მოსახლეობას ცინიკურად გვიყურებს, გამაღიზიანებლად იქცევიან. ყველა შეკამათებაზე უწყალოდ სიტყვებით მოგმართავენ, იარაღით გვემუქრებიან - ყველას დაგვოცავთ და ამოგულიტავთო. ისედაც დუშვირ ცხოვრებას შეგინებლად გვიწამლავენ, უსაფუძვლოდ ცილს გვწამებენ, თავზე არაერთხელ მილიცია დაგვაყენა. ჩვენს გვერდით არა ერთი ლტოლვილი ცხოვრობს და მუშაობს, ყველასთან კარგად და ნორმალური ურთიერთობა გავყვანიდა. ესენი კი ვინ არიან, მათ არაფერი ეტყობათ ლტოლვილების. უკანონოდ მითთვისეს და მიიძვინეს სხვისი ნაწრომ ნაწვლები. სჩადიან რაც მოესურვებთ და ვერაფრით ძღვებიან. ეხლახან მოსამსახურეც კი აიყვანეს და ისიც ჩვენს მიმართ მტრულად განსწუვეს. მათი წყალობით თვითონ ვიქციეთ ლტოლვილებად და უმუშევრებად. ჩვენს შვილებს საკუთარ ეზოში ბურთის თამაშსაც კი უშლიან - გვაღიზიანებსო. მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია. გთხოვთ გავაკვირდეთ რა საშუალებით, რა უფლებებით სარგებლობს სალინაძე და მისი ოჯახი, ვინ მისცა მათ ამდენი უფლება, ვისი მეშვეობითა და წყალობით იყენებს ოცი თანამდებობას ასე ბოროტად, საერთოდ რას წარმოადგენს, ვინ მფარველობს ან კი საერთოდ შეიძლება მეთამადამანამ იმუშაოს სამართალდამცავთა რიგებში? მოგმართავთ თხოვნით, გამოყოთ სათანადო კომისია. ადგილზე შესწავლოთ ყოველივე, სათქმელი მეტაც გვაქვს. ყველას მოთმინების ფაილა აგვევსო, სანამდე შეიძლება ამდენი დამცირების, შეურაცხყოფის, ცილისწამების და იარაღის გამოყენების მუქარის ატანა. გთხოვთ მოგვაცილოთ ეს ხალხი აქედან ან ჩვენ გამოგვინახეთ სხვა საცხოვრებელი. ნუ გვაიძულებთ მივართოთ უკიდურეს ზომებს. გითხოვთ საქმეში დროულ ჩარევას და დახმარებას.

ტაეკვანდო საკვალიფიკაციო ტურნირი

ბალაქის განმეხიება წალგზოლან იწყება

ტაეკვანდო უკვე სპორტის ოლიმპიური სახეობაა და საქართველოში ამ ეტაპზე ჩატარებული ყველა შეჯიბრება მიზნად ისახავს რჩეულთა გამოვლენას ეროვნული ნაკრებისათვის.

ასპარეზობას, რომელზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, წყალტუბოში უმსპინძლა. იქ თავი მოიყარეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და თვით წყალტუბოს ნაკრებმა გუნდებმა. ჯერ ლაბარავია მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებზე, მათ ატესტაციაზე და მომზადებაზე მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც ამ შემოდგომის დასაწყისში გაიმართება სტამბულში.
ატესტაცია წინა საფეხურია საერთაშორისო სემინარისა, რომელიც ივნისში თბილისშია დაგეგმილი. სემინარს უნებმძღვანელებს სპორტის ამ სახეობის ევროპის კავშირის ტექნიკური დირექტორი, მე-9 დანის მფლობელი დოქტორი სეო მიონგ სოო.
წყალტუბოშივე დაკომპლექტდა ახალგაზრდული ნაკრები. ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი კოტე გელვაინი-შვილი) ყველაფერს აყვებს, რომ გუნდმა ბორჯომში გაიაროს შეკრება, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში, რათა უკეთ მოემზადოს მსოფლიოს ჩემპიონატისათვის. აი ნაკრების კანდიდატებიც (ყოველ წინაში 2-2 სპორტსმენი): ნოდარ ხუციშვილი (თბილისი), ზურაბ ფერცულიანი (წყალტუბო, ორივე 45 კგ); ბესიკ კურტანიძე, სოსო ოსიძე (ორივე - თბილისი, 48 კგ); რამაზ ლურჯ-

კაია (თბილისი), მიშკო გაზღვლიანი (წყალტუბო, 51 კგ); მალაზ გაგლაძე, ლაშა გიორგელაძე (ორივე - წყალტუბო, 55 კგ); დავით ბუხრაძე (თბილისი), თემურ მესხაძე (წყალტუბო, 59 კგ); ირაკლი ჩხლაძე (წყალტუბო), გოჩა ნინუა (თბილისი, 63 კგ); ტარიელ სალუქვაძე (წყალტუბო), ავაკი ცვენტრაძე (ბათუმი, 68 კგ); გივი აღიშვილი (წყალტუბო), ზურაბ კობაძე (თბილისი, 73 კგ); გიორგი კამლაძე (წყალტუბო), გიორგი ნარუშვილი (თბილისი, 78 კგ).
გვიორგები: ჯამილა ნავროზოვა (თბილისი, 45 კგ); თეონა ურეშიძე (50 კგ); ბელა სალუქვაძე (ორივე - წყალტუბო, 55 კგ). ჯერჯერობით ამ გვიორგებს კონკურენტები არ ჰყავთ.

მაისი, 1998 წელი
(სულ 48 ხელმოწერა)

სპორტსმენთა დაფასებას ასეთი უნდა!

ნავანოს თეთრი ოლიმპიადის დაწვებამდე რუსეთის ეოკ-მა რუსეთის სახალხო სადაზღვევო სახალხო საზოგადოება „როსნოსთან“ დადებულ ხელშეკრულების ძალით თამაშების ჩემპიონებმა მაღალ ანაზღაურებასთან ერთად, კარგი პერსპექტივაც „შეიძინეს“ - თითოეული საპენსიო ასაკში 200 დოლარს მიიღებს ყოველთვიურად.
ამ დღეებში ხელი მოაწერეს ახალ, უფრო საინტერესო ხანგრძლივ ხელშეკრულებას. სიდნეის თამაშებამდე 3 წლით ადრე მონაწილეობის 1500 კანდიდატს დაახლოვებენ 20-20 ათასი დოლარით. თამაშების მოახლოებასთან ერთად, ბუნებრივია, პრეტენდენტთა რიცხვი შემცირდება. დროცა მათი რაოდენობა 450-ს მიაღწევს, დაზღვევის თანხა 100 ათას დოლარამდე გაიზარდება.

ქიუდო ავროპის ჩემპიონატი უფრო დანაკარგებით

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის შედეგებზე „ლელო“ (№3) უკვე იტყობინებოდა. მკითხველთა თხოვნით ვაქვეყნებთ ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს, ანუ ყველა მედალოსანს და ჩემპიონატში მონაწილე 41 ქვეყნის რჩეულებს, რომელთა წარმომადგენელთა შორისაც ეს მედლები განაწილდა.

60 კგ. 1. ნესტორ ზერგანი (საქართველო); 2. რუსლან მირზალიევი (უკრაინა); 3. რაშიდ მამედოვი (ბელარუსი) და ოსკარ პანასი (ესპანეთი).	გერმანია 1 1 1 3
66 კგ. 1. ლარბი ბენბუდუდი (საფრანგეთი); 2. ისლამ მაციევი (რუსეთი); 3. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო) და პატრიკ ვან კალკენი (ჰოლანდია).	პოლანდია 1 0 3 4
73 კგ. 1. პინო მადალონი (იტალია); 2. ანდრეი გოლბანი (მოლდოვა); 3. ილია ჩიმჩური (უკრაინა), რაფალ კოხელეკსკი (პოლონეთი).	საქართველო 1 0 1 2
81 კგ. 1. ბარტალან ხაიტოში (უნგრეთი); 2. მეხმან აზიზოვი (აზერბაიჯანი); 3. დიკ რადზადი (გერმანია) და ირაკლი უზნაძე (თურქეთი).	საფრანგეთი 1 0 1 2
90 კგ. 1. მარკ პიუზინგა (პოლანდია); 2. მარკო სპიტკა (გერმანია); 3. დმიტრი მოროზოვი (რუსეთი) და ვინჩენცო კარაბეტა (საფრანგეთი).	თურქეთი 1 0 1 2
100 კგ. 1. დანიელ გერშენი (გერმანია); 2. ივან რადუ (რუმინეთი); 3. ბენუამინ სუენმანსი (პოლანდია) და იური სტეპკინი (რუსეთი).	იტალია 1 0 0 1
მთხვე წინა: 1. სელიმ თათაროვლუ (თურქეთი); 2. არი ვან ბარნეველდი (ბელგია); 3. ინდრე პერტელსონი (ესტონეთი) და დენის ვან დერ გეესტი (პოლანდია).	უნგრეთი 1 0 0 1
	რუსეთი 0 1 2 3
	უკრაინა 0 1 1 2
	მოლდოვა 0 1 0 1
	აზერბაიჯანი 0 1 0 1
	რუმინეთი 0 1 0 1
	ბელგია 0 1 0 1
	ბელარუსი 0 0 1 1
	ესპანეთი 0 0 1 1
	პოლონეთი 0 0 1 1
	ესტონეთი 0 0 1 1

„ლელოს“ ფოტომატიანი



საქართველოში ცხენოსნობის ეროვნული ტრადიციების აღდგენაში უდიდესი როლი ითავსებს. აქაური მხედრები მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს პირველობებში, როგორც ეროვნულ, ისე კლასიკურ სახეობებში, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში უასპარეზოთა სსრ კავშირის ჩემპიონატებშია თუ ხალხის სპორტკაიადებში, სხვა შეჯიბრებებში. სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, რამდენიმე ათეული წლის წინაა გადაღებული, სამწუხაროა, უსუსტი თარიღის დადგენა არ გერძობება. კადრში კი დანამდვილებით ვიცი ვინც არიან. მარცხნიდან - შიშა ნაჭყებია, ვარადი გელენავა, შოთა ჭურღულია.

ჩვენაგან რაღაც უნდა ვიღონოთო

კლუბსა და ვიწრო ვიწარს ვიწარს-ვიწარს-ვიწარს ღათო, ახლა...

„ახე გარკვეულად აღარ შეიძლება. რაღაც უნდა ვიღონოთ“ — ამ სიტყვებით დაასრულა 27 მაისს პოლონეთ-რუსეთის მატჩის ტელეკომენტატორი სოფიკაძე რუსმა სპორტულმა კომენტატორმა. დიას, მართლაც, მოთმინებასაც წამ აქვს საზღვარი, სადა არის ჩვენი ეროვნული თავმოყვარობა? — თავის აღშფოთებას ვერ მალავდა მეორე დღეს დილით რუსეთის საფეხბურთო კავშირში მისული ორმოცამდე ჟურნალისტი. მაგრამ, რად გინდა, კავშირის ხელმძღვანელობიდან ადგილზე ვერავინ ვნახეთ — კოლოსკოვიც, სიმონიანიც, როდონოვიც ნაკლებს პოლონეთში გაყოლიან. სხვა რა ძალა იყო, იქვე უწინააღმდეგობა ერთმანეთში ნახევარსაათიანი საუბრით „ორთქლი ამოუშვებს“ და თავიანთ გამოცემებს მიაშურებს. ალექსანდრ შურნოვიცა, ყოველკვირეული „ფუტბოლიდან“, ჩვენმა ძველმა ნაცნობმა, გვარდზე გამისმო და საიდუმლო გამანდო: ზომ გინდა საინტერესო მასალა — რუსულ ფეხბურთში ამბობება იწყება და ოპონიცია პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის ნიკოლაი ტოლსტინის და მოსკოვის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის ალექსანდრ ბელიაევის გარშემო იკრებიება, ასე რომ, კოლოსკოვს დიდი დღე არ უწერიაო. შურნოვის ინფორმაციამ დამაინტერესა, სამეგობრო შევაწუხე და იმავე დღეს ქალაქ მოსკოვის ფედერაციის ხელმძღვანელს შევხვდი. ალექსანდრ ბელიაევი ამ თანამდებობაზე ორი წელია მუშაობს. იმავდროულად როგორც ხმები დადის, თავისი გავლენით დედაქალაქში ლუჟკოვის შემდეგ მეორე კაცია. მასთან საუბარი გულანდობილი გამოდგა. იგი ქართულ ფეხბურთშიც საკმაოდ გათვითცნობიერებული კაცი ყოფილა.



იგი მოსკოვის სამხრეთის ადმინისტრაციული ოლქის პრეფექტია და, იგი მოსკოვის სამხრეთის ადმინისტრაციული ოლქის პრეფექტია და, მასთან საუბარი გულანდობილი გამოდგა. იგი ქართულ ფეხბურთშიც საკმაოდ გათვითცნობიერებული კაცი ყოფილა.



ალექსანდრ ვასილის ძე, თქვენ დღეს რა ხდება საქართველოში?

— ფეხბურთში შემთხვევითი მოხვედრილი აღაშინა არ გეგონათ. კრასნოარსკში დავიბადე და ვერ იქ შემიღებ კი მოსკოვში საცხოვრებლად გადავსვლი შემდეგ ქუთაისში დაუღალავლად ვაგორავებდი ბურთს. როდესაც მოსკოვის ფედერაციის გაძლიერება შემომთავაზეს, გამასხენდა, რომ ვერ კიდევ კომპიუტერულ სამუშაოზე ყოფნისას, ვიყავი სსრკ ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრი. ამ კომიტეტს მაშინ ბორის ტროიანინი ხელმძღვანელობდა. მიყვარს ფეხბურთი, გულშემატყვირები. ერთ დროს, როდესაც რაიონალური თაემქლომარედ ვმუშაობდი, საფეხბურთო სპეციალისტ ვიყავი ამბარკუმიანთან ერთად შევექმნით სპორტული სკოლა „უდასოვიცი“. სამუშაოდ, შემდგომში შევთქვე, რომ სკოლა უსასხრობით დაიშალა, ამან კი მიბიძგა დავთანხმებულოყვი დედაქალაქის ფედერაციის ჩავლდომილი სათავეში. არ გეგონათ ეტრებახობ, მაგრამ იური ლუჟკოვთან ერთად დედაქალაქში ფეხბურთის განვითარებისათვის ბევრს ვაკეთებთ: იქ ბავშვთა ფეხბურთით, იქ სპორტული ბავშვით... ის, რომ ორი დედაქალაქური გუნდი ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალში გავიდა, განა არ მერყეულეს ამავლობაზე?

— კი ბატონო, დედაქალაქში წინსვლა, მაგრამ მთლიანად ქვეყანაში ფეხბურთი, ვატყობთ, ერთ ადგილზე გაიყვანა... ვერ კიდევ არ განვითარდა თუნდაც ის იარა, რომელიც რუსეთის ეროვნულმა ნაკრებმა წუხელ პოლონეთთან მარცხით მოგვყვნა...

— დასამალი არაა, ბევრი საფეხბურთო სპეციალისტი უკანასკნელ ხანს იმ აზრისაა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცები ამჟამად ვეღარ აუღიან საქმეს და თავისი

მერკანტელური მოსაზრებების გამო ფეხბურთი დაღუპვისაკენ მიჰყავთ. ამის მაგალითად თუნდაც რუსეთის ნაკრებ გუნდებში შექმნილი მდგომარეობაც გამოდგება. შეხედეთ, რა ხდება ეროვნულ ნაკრებში. კოლოსკოვის მმართველობაში თითქმის ყოველწლიურად იცვლებიან მწვრთნელები, ვერასვლით დამარადა საქმიანი ურთიერთობები ფეხბურთელებთან. ამის საილუსტრაციოდ გუშინდელი ზოქუვის მატჩი იკმარა. საქმე იქამდეც კი მივიდა, მოთამაშეები ლიად, პრესაში აღინაშნულენ რუსეთის ფეხბურთის თავკაცებს — თუ პრემიებს არ გადავიხდის, ნაკრებში აღარ ვითამაშებთო.

— ამას წინათ ვსაუბრებ ანდრეი კანელისის და მასთან ინტერვიუ საქართველოში, „ლელოში“ გამოქვეყნდა — ფეხბურთელმა საჯაროდ გაილაშქრა საფეხბურთო კავშირის მიერ შემოღებული წესის საწინააღმდეგოდ — ფეხბურთელებისთვის საპროფილო თანხის ანაზღაურება მხოლოდ საბოლოო შედეგის მიხედვით, ე.ი. თუ ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ვერ მოხვდა, მოთამაშე ვერაფერს მიიღებს...

— მარშან კოლოსკოვს შეგვიძლია ხანგრძლივად ვსაუბრებ, ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ ფულის გადახდის ამგვარი ხერხი გამართლებულია ეკონომიკური ძლიერი ქვეყნებისთვის, რუსეთში კი ფეხბურთელების ნაწილი ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობს. სამუშაოდ, კავშირის პრეზიდენტმა ჩემი მოსაზრებები არ გაიზიარა, არადა, თქმა იმისა, რომ პრემიების თანხის გაცემა პრობლემას წარმოადგენს, არასწორია — რსკ-ში მხოლოდ ნაკრების მატჩების ტელეტრანსლაციისათვის იმდენი შემოსული, 5 ნაკრებს ეყოფოდა.

— მაშ კანელისის სტები აქვრენ? — აბა, როგორ! კონკრეტულად? იურანი, კოლივანოვი, შალიმოვი, ნიკიფოროვი, კარბინი, მოსტოვი, ჩერჩესოვი... უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან იზრდება.

— გამოსავლის რაში ხედავთ? — აუცილებელია იმ ხალხის გადაჩვენა, ვინც დღეს რუსულ ფეხბურთს განაგებს. შემოღობაზე რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის არ-

ჩვენებია. ვფიქრობ, კოლოსკოვს გამარჯვების ძალიან ცოტა შანსი აქვს.

ვინ მიგაჩნიათ პრეზიდენტის საჯაროის შესაფერისად?

— გზა უნდა მიეცეთ ახალგაზრდებს, თუნდაც ისეთ ავტორიტეტულ და საქმის მკოდნე პიროვნებას, როგორცაა რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი, იმავდროულად მოსკოვის „დინამოს“ კლუბის მებატონე ნიკოლაი ტოლსტინი.

— ბევრნი ხართ, ოპონიციონერები? — საკმაოდ, ჩემი გამოანგარიშებით კოლოსკოვი და კომპანია ხმების 30 პროცენტს თუ მიიღებს.

— მოლით, კვლავ ნაკრებს დავუბრუნდეთ ზოქუვიდან რუსეთელები თბილისის ჩაფრინდებათ, თქვენი აზრით, შესწევს თუ არა გუნდის ახლანდელ შემადგენლობას ძალიან ღირსეულად იასარეზონს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ?

— გულანდობილ გეტყვით, იგნატიევის გუნდი ახლა დემორალიზებულია. მიუხედავად ამისა, თუ ბიჭები ფსიქოლოგიურად განეწყვნენ, წარმატებაზე ფიქრი შეიძლება. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ შემადგენლობა აკლუსნი არიან. ალბათ, თბილისში ნაკრებს შემეატებათ ონოპკო, ციმბალარი, ოვჩინიკოვი...

თავად ქართველთა მთავარი გუნდის თამაში თუ გინახავთ?

— მარშან შემოღობით დნესტრისპირეთის ფეხბურთის ხელმძღვანელობის მიწვევით ტრასპოლში გახლდით. ქართველები მაშინ კიშინიოვში, მოლოდის ნაკრებს ვითამაშებოდნენ. ჩველი კიშინიოვში, სამხრეთეთელთა გარკამ ჩემზე მოლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ზემეტად პრაქტიკულმა მანერამ, ცოტა არ იყოს, შემატებუნა. ამის შესახებ მატჩის შემდეგ დაუფარავად ვუთხარი ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს დავით ყოფიანს. იგი მართლაც დამეთანხმა — რა გჭნა, მოგება აუცილებლად გვირდებოდა ამიტომ გოლის გატანის შემდეგ დაცვაში „ჩაეჭვით“, რამაც სანახაობრივად თამაში უფარგისი გახადაო. ისე, ყოფიანი მართლაც კარგი მწვრთნელი ყოფილა — მისმა დებუტმა „შინიკში“ ყოველგვარ მოლო-

დის გადააქარბა, გაიმარჯვო პირველსავე მატჩში, თანაც სტუმრად, ვლადიკავკაზში, სახუმარო საქმე არ არის. რა, თქვენ გგონიათ, ყოფიანმა ერთ დღეში რაიმე ახალი ტაქტიკური სქემები შესთავაზა მეტოქეს? არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ, დავითმა გუნდის ფსიქოლოგიურად კარგად განაწყო. სწორედ გუნდის ფსიქოლოგიურ განწყობაზე აკეთებენ დღეს ძირითად აქცენტს მსოფლიოს მოწინავე მწვრთნელები.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ნაკრების 7 ივნისს მეტოქეს მოსკოვის „ტორპედოში“, კვლავ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი?

— დიას, მარშანწინ, როგორც გახსოვთ, ორად გახლენილი ცსკა-დან „ტორპედოში“ მოსულმა ალექსანდრ ტარხანოვმა 12 უცხოელი მოთამაშე მიიწვია. მიუხედავად ამისა, რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას გუნდმა ვერ მაილწია. დიასხარჯა უამრავი ფინანსები, მაგრამ, რომ იტყვიან, უკუგება ნოლზე იყო. ამიტომაც დახურული ტიპის საექციო საზოგადოება „ლუქნიკების“ პრეზიდენტმა პაველ ალიოშინმა, ვისაც საფეხბურთო კლუბი ეკუთვნის, ჩვენთან შეთანხმებით, სამსახურიდან დაითხოვა ტარხანოვი და მის ნაცვლად კვლავ „ველ გვარდიელს“ ვალენტინ ივანოვს უხმო. თუ მოვიცალო, ივანოვთან ერთად, 7 ივნისს, შეიძლება მეც ჩამოვიდე თბილისში. მინდა მეგობრული კონტაქტები დავამყრო თბილისის საქალაქო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბატონ ნოდარ ანდრიაძესთან.

ესაუბრა აბაჰი სმირონში, „ლელოს“ საკ. კორ. მოსკოვში

P.S. პოლონეთი — რუსეთის მატჩის (1-0 ტრფეიაკი (5), 1-1 გერასიმენკო (9), 2-1, 3-1 მათო (57, 90)) გარდა შედგა სხვა ამხანაგური შეხვედრებიც: ნორვეგია — საუდის არაბეთი 6-0, ფინეთი — გერმანია 0-0, ავსტრია — ტუნისი 2-1, უნგრეთი — ლიტვა 1-0, მაროკო — ინგლისი 0-1, საფრანგეთი — ბელგია 1-0.

უხსოვითი ფეხბურთის ახგავი

ინგლისი. მაროკოსთან ამხანაგურ შეხვედრაში, სადაც ინგლისელებმა ოუენის გოლის წყალობით 1-0 მოიგეს, პრეტენდენტებს ფერადიანი „არსენალის“ ფორვარდი იან რაიტი დაუშავდათ. იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში. „საუთემპტონის“ ნახევარმცველი მარკ ლე ტისიე კი განაწყენებულია ინგლისის ნაკრების მწვრთნელ გლენ პოდლზე, რადგან იგი ნაკრებში არ მიიწვია. ლე ტისიემ აღნიშნა, რომ გასაკვირია ის ამბავი, რომ დარენ ანდერტონი და ჯერემი რედნაპი პოდლმა მასზე წინ დააყენა.

ესპანეთის კლუბ „გალენსიაში“ მომავალი სეზონიდან ითამაშებს რუმინელი გაბრიელ პოპესკუ, რომელიც „სალამანკაში“ გამოდიოდა. გუნდს დატოვებს არგენტინელი ვარსკვლავი არიელ ორტეგა, რომელსაც უთანხმოება მოუვლიდა „გალენსიას“ იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან.

კოვა ლიბარდატორა-სი. არგენტინის „რივერ პლეიტმა“ 3-1 სძლია ასევე არგენტინულ კლუბ „კომლოს“ და გავიდა გათამაშების შემდეგ წრეში. პარაგვაის „ჩერო პორტუენოში“ 3-0 მოუგო ურუგვაის „ენინაროლს“. ეკვადორის „ბარსელონამ“ — ბოლივიის „ბოლივარს“ 4-0. მეოთხედფინალში გავიდნენ „რივერ პლეიტი“, „ჩერო პორტუენო“, „ბარსელონა“. მეოთხე ნახევარფინალისტი ბრაზილიურ კლუბებს შორის გაიკრევა „ასასკო და გამა“ — „გრემიო“-ს „დეულში“.



რაო, გუკუკუკუკო?

ამ ბოლო ხანს ლონდონელ ბუქმეკრებში ხორვატთა ეროვნული ნაკრების ფსონები მნიშვნელოვნად დაცვა. რაშია საქმე? თურმე, ტოტალი-



ალან ბოკშინი

ზატორის მებატონეებს „დაზვერვის“ უტყუარი სამსახური აქვთ და იქიდან მოწოდებულ ნებისმიერ ინფორმაციას ბუქმეკრები დაწვრილვით აანალიზებენ.

ასე მოხდა ამჯერადაც. „მსტოვრებმა“ ლონდონში ცნობა აფრინეს — ტრავების გამო ზორვატის ეროვნულ ნაკრებს გამოაკლდა „ლაციოლიდან“ „მილანში“ გადასული 28 წლის ფორვარდი ალენ ბოკშინი. ეგ კიდევ არაფერი, თურმე, ბალკანელეები მონდილზე კიდევ ერთ ფეხბურთელს „რეალ-სოსიედადის“ 27 წლის ფორვარდს იგორ ცვიტანოვიჩსაც მოსაკლესებენ — იგი ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა დაითხოვა გუნდიდან, ვინაიდან მოთამაშე ერთ-ერთ ვარჯიშზე უარი განაცხადა გაერბინა 100-მეტრიანი დისტანცია.

ლევან თვლიაშვილის კლუბის აღსაზრდელები სარკილზე გაყოლიან

ლევანდარული ფალანგის ლევან თვლიაშვილის სახელს სიახაყით წარმოსთქვამენ არა მხოლოდ მისი თანამედროვენი, არამედ ახალგაზრდებიც, რომლებსაც ლევანის ჭიდაობა არ უნახავთ. მაგრამ ყმანვილებს შესაძლებლობა ეძლევათ მისი სახელობის კლუბში დაეუფლონ ჭიდაობის საიდუმლოებას და თვით ლევანსაც შეხვდნენ. ამ კლუბის აღსაზრდელები უკვე წარმატებით გამოდიან თანატოლთა შეჯიბრებებში და მათ გამოსვლებს, როცა კი შესაძლებლობა ეძლევა, მუდამ ადვანტაჟს თვალყურს ლევანი.



ლევან თვლიაშვილი

ვითა ფინალურ ასპარეზობაში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის რეგიონების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, საასპარეზოდ ამ კლუბის გუნდიც დაუშვებს და მესამე ადგილისთვის დავაში „შეგარდენის“ ნაკრებს შეხვდნენ (ასპარეზობა ჩატარდა პრინციპით გუნდი-გუნდზე). პაექრობა ფრედ ნან დასრულდა, მაგრამ ნაკლები საჯარიმოების წყალობით მესამე საპრიზო ადგილი ლევან თვლიაშვილის „მართვებს“ მიეკუთვნათ („ლელოს“ ნინა ნომერში მსახურთა კოლეგიის მიერ უზუსტობა გაიპარა).




როგორც ვიუწყებოდით („ლელო“ №39) თბილისში ჩატარდა საქართველოს იუნორთა პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. შეჯამდა გუნდური შედეგები: 1. თბილისი — 47 ქულა, 2. აჭარა — 26, 3. ქუთაისი — 17. სპორტსაზოგადოებებს შორის: 1. „შეგარდენი“ — 64, 2. მართვე — 41, 3. „ლოკომოტივი“ — 37. სპრატში: გამარჯვებული თბილისის ნაკრები.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

არგენტინელები

კახკახი — გოლალორი, მარალონა — ალაშიანი — ორკანსტრი

მარიო ალბერტო კემპესი და დიეგო არმანდო მარადონა! ორი ეროვნული გმირი, რომლებმაც ამდენი მარცხისა და დამპყრობის შემდეგ არგენტინული ფეხბურთი მწვერვალებზე აიყვანეს. ლეგენდარულმა მწვრთნელმა სესარ ლუის მენორტიმ, შექო ის, რაც მანამდე ვერც ერთმა არგენტინელმა სპეციალისტმა ვერ მოახერხა.



მარიო კემპესი

ამ სამი მატჩის შემდეგ არგენტინელებს ბრძოლა უნდა გაგრძელებინათ, ნახევარფინალურ ტურნირში, სადაც მათი მეტოქეები ბრაზილიის, პოლონეთისა და პერუს ნაკრებები იყვნენ. რახან ამ ოთხეულიდან ბრძოლას მხოლოდ გამარჯვებული გააგრძელებდა, ყველა ელოდა ძველი „დაუძინებელი მტრების“ — არგენტინელებისა და ბრაზილიელების „შეჯახებას“.

ყურნალისტები სწორად იგონებენ მენორტის იმდროინდელ ლოზუნგს: „ყველაფერი შეტევისათვის!“ ასეთ შეტევებს პოლონელებმა მართლაც ვერ გაუძლეს — 2-0, ამასთან, ორივე გოლის ავტორი კემპესი იყო. არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების მატჩში მეტოქეებმა, როგორც მისალონდელიც იყო, მართლაც უშაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენეს. როგორც ყოველთვის, დიდებული იყო მეკარე ფილოლი მცველები პასარელას ხელმძღვანელობით, რომელსაც „სამხრეთ ამერიკის ბეკენბაუერი“ უწოდეს, უშეცდომოდ თამაზობდნენ. დიდი სიმწვანე იქმნებოდა წინა ხაზზეც, მაგრამ მეტოქეთა ძალები საბოლოოდ მაინც დაახლოებით თანაბარი აღმოჩნდა: 0-0.

დიდი ავიოტევი და ხანგრძლივი მომდევნო პოლემიკა, თუ ნამდვილი „საფეხბურთო ომი“ არა არგენტინისა და ბრაზილიის შორის, გამოიწვია ნახევარფინალის უკანასკნელმა მატჩმა რიო-ბრანკოში. აქ არგენტინელები პერუელებს ხელგობლივნი, რომელიც კარს არგენტინული წარმომადგენელი გოლიკები კიორგა იცავდა. ფინალში გასასულიყო არგენტინელებს, რათა ბურთების სხვაობით ბრაზილიელებისათვის გაესწროთ, ოთხი გოლი უნდა გაეტანათ, მათი კი მოიგეს ანგარიშით 6-0 (ორ-ორი გოლი გაიტანეს კემპესმა და ლუკემ, თითო — ტრანტინი და პალმანა). ამის შემდეგ არგენტინელებმა და ბრაზილიელებმა 5-5 ქულით დაასრულეს შეჯიბრება, მაგრამ, რადგანაც მასპინძლებს ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდათ, ფინალში სწორედ ისინი გავიდნენ.

ფინალური მატჩი არგენტინელებსა და იმდროინდელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს, პოლონელებს შორის, გასაგებია, უმძაფრესი გამოდგა. იგი 1978 წლის 25 ივნისს გაიმართა. აი გუნდების შემადგენლობები: **არგენტინა** — ფილოლი, ოლგინი, გალვანი, პასარელა, ტრანტინი, გალვანი, ბერტონი, არდილესი (ლაროსა), ლუკე, კემპესი, ორტიბისი (პალმანა). **პოლონეთი** — იონგბლოტი, იანსენი (სურბიერი), პორტელოტი, ბრანდისი, კროლი, ნევესკენი, რ. ვან დერ კერკოფი, ვ. ვან დერ კერკოფი, პანინი, რეპი (ნანინგა), რენენ ბრინკი, დასაწყისში უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ. „მეზობელი პოლონელები“ კი აშკარად უფროსობდნენ მეტოქეს. 37-ე წუთზე ლუკეს მიერ დაწყებული კომბინაცია, ჩინებულად გააგრძელა არდილესმა, „გოლი-სტერმა“ კემპესმა კი ჩინებულად დარტყმით დაასრულა. პოლონელები უკვე აღარაფერს ჰკარგავდნენ. მეორე ტაიმში დიმიტრო უხუში შეტაკებებიც — ნევესკენის, პორტელოტის, ბრანდისის სახიფათოდ ურტყამდნენ, მაგრამ ფილოლს ვერაფერი მოუხერხებია პოლონელებმა. მწვრთნელმა პალმანამ თამაზში ჩართო ნანინგა, რამაც გამართა კიდევ მეორე ტაიმის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე თავით თამაში ამ ჩინებულმა ოსტატმა გაათანაბრა ანგარიში 1-1. ზუსტად უკანასკნელ წუთზე რენენ-ბრინკს შეეძლო პოლონელებისათვის გამარჯვება მოეტანა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი კარის ძეგლს აიხსლიტა. მთელმა არგენტინამ შეგებით ამოისუნთქა.

პასარელა-ტრინიდადი



37-ე წუთი. კემპესი - 1-0



104-ე წუთი. კემპესი - 2-1



115-ე წუთი. ბერტონი (მარცხნივ) - 3-1

მაინც რა ცვლილებები მოხდა ფეხბურთის სამყაროში ამ 4 წლის ბავშვობაში? აი, რას წერდნენ ბულგარული მიმოხილვები იანნიკოვი და ჯაროვი: „დაწინაურდნენ ახალი ვარსკვლავები. მარადონა, რომელსაც პელეს ადარებენ, სამხრეთ ამერიკის №1 ფეხბურთელის წოდება მიიღო და ზოგი ჩამოიტოვა რუმინელებმა, რომელმაც კახკახის სამოაურობის დიქსიონარში ჩაატარეს მისი პირადი დამასპურებაზე, არამედ ნაკრების ძლიერებაზეც მეტყველებს. ჩივი შეესაქმნა ქართველი — ყოფიანისა და შენგულიას შემდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირის №1 ფეხბურთელი გახდა. მოგვიანებით თბილისის „დინამომ“ თავის მფლობელთა თასიც მიიპოვა“.

არგენტინელებს თუ დაეუბრუნდებოთ, ისინი ესპანეთში მესამე წინასწარ ჯგუფში მოხვდნენ, რომელსაც ბელგიელებთან, უნგრელებთან და სალვადორელებთან ერთად ალიკანტესა და ელჩემში უნდა ეთამაშა. ჩემპიონატის წინ ესპანელებმა წააგეს ომი ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისათვის. ამას, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებიც განიცდიდნენ. ზოგ მა-



მარიო კემპესი

თვანს ომში ახლობლები დაეღუპა, არდილესმა მძაც კი დაკარგა. ამისა და სხვა მიზეზების გამოც, ნაკრების მზადება მსოფლიო პირველობისათვის, როგორც გაირკვა, სრულიად არა ყოფილა სრულყოფილი და მაინც საკმაოდ მოულოდნელი იყო დამარცხება ბელგიელებთან 0-1. „დაძინებული“ კემპესი, რა თქმა უნდა, ის აღარ იყო. რაც შეეხებოდა მარადონას, ყველა მწვრთნელი ერთი „განაჩენი“ გამოუტანა: ერთი წამითაც არ მოსცილდეთ, უხეშად ეთამაშეთ, არაფერს მოერიდეთ, ოღონდ არ გაახართ. ისე კი, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში „ყსადი მცველები“ მრავლად იყვნენ.

პირველ ტურში არგენტინის ნაკრების წევრებს მაინც დამარცხებულად შეეგებოდა არ მოჰყოლია. ორი მომდევნო მატჩის მოგებით ჩემპიონების მაინც გააგრძელებდნენ ბრძოლას. სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავი იყო უნგრელების ათი ბურთი (10-1) სალვადორელების კარში. ნილაში, ფაზუაში და მათი პარტიზონები ყველაფერს აყვებდნენ, რაც კი სურდათ.

ახლა, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სწორედ უნგრელების დამარცხება, აი, ამ მატჩში ნახეს ესპანელმა მათემატიკებმა პირველად, თუ რას უწოდებდნენ მარადონა. ახალგაზრდა „შალამი მას ვერაფერი მოუხერხა ვალდაროსსა და ბერტონისაც ხომ უნდა გამეფებოდნენ. საბოლოო ანგარიში იყო 4-1 ჩემპიონების სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს მარადონამ (2), ბერტონიმ და არდილესმა მესამე მატჩი სალვადორთან, ცხადია, რაიმე სირთულეს არ წარმოადგენდა. 2-0 არგენტინელების სასარგებლოდ გოლები გაიტანეს პასარელამ (პენალტით) და ბერტონიმ.

ახლა იწყებოდა მთავარი: სამ-სამი ულტიმუმი ნაკრები 4 ჯგუფად განაწილდა. არასოდეს არგენტინელებს ნახევარფინალში გადამდგენდა „C“ ჯგუფში იტალიელებსა და ბრაზილიელებთან ერთად. ამაზე ძნელი მეტოქეების მონახვა ძნელი იყო: იტალიელები ისეთი აღმავლობით თამაზობდნენ, როგორც არასოდეს, ბრაზილიელები კი მაინც ბრაზილიელები არიან. მოხდა ისე, რომ არგენტინელებს ერთმანეთს მოუვლო და მეორემაც. იტალიელებთან ჩემპიონები დამარცხდნენ ანგარიშით 1 - 2. მარადონას წამდა-უწუმ წყებების დარღვევით აჩერდნენ. კემპესმა ძალიან ცუდად ითამაშა, დაცვას პასარელას გამოცდები, რომელმაც გოლიც კი გაიტანა, მიიშვეცდომები მოსდიოდა. ფილოლი თავანაწილად კი თამაზობდა, მაგრამ ორ შემთხვევაში გოლი მაინც გაუშვა, მარადონის ვერაფერს გახდნენ არგენტინელები, ცხადია, გამოეთიშნენ შეიბრებამ. საინტერესოა, რომ პასარელამ მაინც მოხვდა მსოფლიოს იმ ალურ ნაკრებში.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, როგორც მისალონდელი იყო, მენორტი გადადგა და ნაკრების სადარბაზო კარლოს სალვადორ ბილარდოს გადაუღო.

გივი გამრეკელი
(დასასრული იქნება)

გაგრძელდება დასაწყისი იმ „ლელო“ №41

FRANCE 98 INFORMATION

„თუ ანა, ფინი ნაპა“

პარიზის რაიონის პროფესიონალი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში გაფიცვისკენ მოუწოდა მიწის ტრივიალურია - ხელფასის გაზრდის მოთხოვნა. როგორც გაფიცვის ერთ-ერთი მორგანიზატორმა განაცხადა, იგი დანიშნულია იმ შემთხვევაში, თუკი რაიონის სახელმწიფო კომპანია სსსფ არ დააჩქარებს მთავრობასთან მოლაპარაკებას ხელფასის თაობაზე.

გაფიცვები მოითხოვენ ანაზღაურება საათში 43 ფრანკიდან (7,2 დოლარი) 56 ფრანკამდე (9,3 დოლარი) გაიზარდოს და შემეცირდეს სამუშაო კვირა. ამაზე მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორის თავმჯდომარემ მიშელ პლატინიმ თავისებურად უპასუხა: „თუ ასეა, სენ-დენის ფენიწი წავალ“.

კლანდალის თოვნი არ დააქაფოვინოს

როგორც მოგვსენებთ, ნიგერიის ნაკრები რის განაჩობით დაუშვეს მსოფლიო ჩემპიონატზე, თუმცა ბევრი პოლიტიკოსი მის დასჯას მოითხოვდა. ახლა აღმავალი მოძრაობის წარმომადგენლებმა, რომლებიც კოსოვოს რეგიონის იუგოსლავიიდან გამოყოფას მოითხოვენ და ამ ქვეყნის მთავრობის მიერ დამსჯელი ოპერაციების განხორციელებაზე მიუთითებენ, ფიფას წინადადება მისცეს მსოფლიო ჩემპიონატში არ დაუშვას იუგოსლავიის ნაკრები. ფიფამ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

როგორ უნდა იქნება სერბი...

„სერბი იქნება“ სერბიულად დაინტერესდა მადრიდის „რეალი“-სა და ბრაზილიის ნაკრების მცველ რობერტო კარლოსით. მას მადრიდელეთან 2002 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ ინგლისელებს ეს არ აინებთ. „სერბი“ სერბი იქნება იქნება აბრეხებს ამ კონტრაქტის გამოსყიდვას და საამისოდ „რეალს“ ანაზღაურებს თანხას 85 მილიონ დოლარს სთავაზობს. რას უპასუხებს „რეალი“?

33 წლის ასაკში...

